

ადგილობრივი ეკონომიკური განვითარების გეგმა



ყვარლის მუნიციპალიტეტი
საქართველო

- სექტემბერი 2019 -

მერის მიმართვა



ყვარლის მუნიციპალიტეტის ეკონომიკური გაძლიერება ჩვენთვის უმთავრესი გამოწვევაა. მუნიციპალიტეტის რელიეფი, ტურისტული და კულტურული ობიექტები, ტრადიციულად განვითარებული სოფლის მეურნეობის მიმართულებები რეალურად იძლევა ეკონომიკურად გაძლიერების საფუძველს.

უნდა აღინიშნოს, რომ ადგილობრივი ეკონომიკური განვითარების გეგმის შემუშავების პროცესში ჩვენ მაქსიმალურად ვეცადეთ

გაგვეთვალისწინებინა ყველა სოციალური ჯგუფის და სექტორის მოსახრება და შევეცადეთ მათი პრიორიტეტები ასახულიყო აღნიშნულ დოკუმენტში.

ამრიგად, შემუშავდა ეკონომიკური განვითარების გეგმა, რომელიც დაეფუძნა ჩვენი მუნიციპალიტეტის მოსახლეობის რეალურ საჭიროებებს და მოთხოვნებს.

ჩვენთვის დიდი პატივია ევროკავშირის ინიციატივასთან „მერები - ეკონომიკური ზრდისთვის“ შეერთება. ამ პროექტში გაერთიანებით ჩვენ გამოვხატეთ საერთაშორისო და დონორ ორგანიზაციებთან თანამშრომლობის სურვილი და მზაობა, გავიზიაროთ პარტნიორი ქვეყნების ება. ვიმედოვნებთ, აღნიშნული თანამშრომლობა ჩვენთვის ადგილობრივი ეკონომიკის გაძლიერების გარანტი და წარმატების მომტანი იქნება.

ჩვენ მზად ვართ განვახორციელოთ ადგილობრივი ეკონომიკური განვითარების გეგმა. ჩვენთვის განსაკუთრებით მნიშვნელოვანია: ინვესტორების მოზიდვა, ტურისტული პოტენციალის გაუმჯობესება, მდგრადი ეკონომიკური გარემოს შექმნა, რაც ყვარლის მუნიციპალიტეტის მოქალაქეებს მისცემს დამატებით შესაძლებლობებს ეკონომიკური აქტიურობისათვის.

როსტომ სესიაშვილი

ყვარლის მუნიციპალიტეტის მერი

დოკუმენტი საჯარო და ხელმისაწვდომია ყველა დაინტერესებული პირისთვის.

გეგმის ასლის მისაღებად, გთხოვთ მიმართოთ:

სახელი: ქეთევან ზაულაშვილს

თანამდებობა: ყვარლის მუნიციპალიტეტის მერიის, ეკონომიკის სამსახურის საგარეო ურთიერთობების, საერთაშორისო პროექტების და ტურიზმის განყოფილების უფროსი

მისამართი: ქ. ყვარელი, კუდიგორის ქ. # 1

ტელეფონი: +995 353 22 12 01

ელ-ფოსტა: meria@kvareli.gov.ge

ვებ-ბგვერდი: www.kvareli.gov.ge

მოკლე შეჯამება

წინამდებარე დოკუმენტი წარმოადგენს ევროკავშირის ინიციატივის „მერები ეკონომიკური ზრდისთვის“ ფარგლებში შექმნილ ყვარლის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი ეკონომიკური განვითარების გეგმას, რომელიც შემუშავებულია ადგილობრივი ეკონომიკური პარტნიორების მიერ საჯარო, კერძო და სამოქალაქო სექტორის წარმომადგენლების თანაბარი ჩართულობით.

ყვარლის მუნიციპალიტეტი წარმოადგენს განვითარებული მევენახეობა-მელვინეობის და ტურიზმის რაიონს, სადაც ასევე არსებობს რესურსი და წინაპირობა სხვადასხვა ეკონომიკური საქმიანობებისთვისაც, როგორცაა: მეხილეობა, საკონსერვო წარმოება, სასმელი და მინერალური წყალი, ხე-ტყის გადამამუშავება, სამშენებლო მასალების წარმოება და სხვა. დედაქალაქიდან 2.5 საათიანი (141კმ) დაშორება აადვილებს თბილისის ბაზართან წვდომას. ყვარელში დღეისათვის ღვინის და ალკოჰოლური სასმელების მწარმოებელი დიდი თუ მცირე კომპანიების რაოდენობის ზრდის ტენდენციაა, რომელსაც ასევე მოჰყვება ფეხდაფეხ ახლად გაშენებული ვენახების რაოდენობის ზრდა (ამას ხელს უწყობს ცნობილი მევენახეობის და მელვინეობის მიკროზონების არსებობა). ღვინის წარმოება და განსაკუთრებით კახური ტრადიციული მარნების არსებობა ასევე არის ყვარელში ტურისტული ბიზნესის ძირითადი განმსაზღვრელი მიმართულება, თუმცა ეს სფერო მხოლოდ ღვინის ტურიზმით არ შემოიფარგლება და აქ არსებობს მრავალფეროვანი ტურისტული მიმართულებების გაშლის შესაძლებლობა, მითუმეტეს, რომ ინტენსიურად ვითარდება სასტუმრო და სარესტორნე ბიზნესი და აქ შეხვდებით ყველანაირ მოთხოვნაზე მორგებულ განთავსების ობიექტებს. ბიზნესის კეთებისთვის რომ მიმზიდველი ადგილია ყვარელი ბოლო დროს განხორციელებული ინვესტიციებიც და რეგისტრირებული საწარმოები რაოდენობაც ცხადყოფს, თუმცა რეალური და უფრო მასშტაბული ეკონომიკური ზრდის მისაღწევად საჭიროა მთელი რიგი სუსტი მხარეების დაძლევა, ისეთების როგორცაა მაგალითად: თანამედროვე სასოფლო-სამეურნეო ტექნოლოგიების გამოყენების დაბალი დონე და შესაბამისი ცოდნის უქონლობა; არასათანადო და არასაკმარისი სამეწარმეო უნარები მოსახლეობაში; კერძო და საჯარო თანამშრომლობის და პარტნიორობის არარსებობა, არასაკმარისად განვითარებული ბიზნესის ხელშემწყობი ინფრასტრუქტურა, ახალგაზრდების მიგრაციის მაღალი დონე, ყვარლის მუნიციპალიტეტის სუსტი პოზიციონირება საერთაშორისო ბაზარზე, ფინანსებზე დაბალი ხელმისაწვდომობა და სხვა.

წინამდებარე დოკუმენტის შემუშავების დროს პარტნიორების მიერ გამოიკვეთა ყვარლის მუნიციპალიტეტის ეკონომიკური განვითარების სტრატეგიული ხედვა, რომელიც ფორმულირდა შემდეგნაირად, რომ ყვარელი გახდეს რეგიონში აღიარებული მევენახეობა- მელვინეობის და განვითარებული ტურიზმის ადგილი, სადაც იქნება მიმზიდველი ბიზნეს გარემო ასევე დივერსიფიცირებული ეკონომიკური საქმიანობებისთვის. ამისათვის ყვარლის მუნიციპალიტეტმა დაისახა შემდეგი მთავარი მიზნები:

1. მუნიციპალიტეტის მელვინეობა-მევენახეობის და ტურისტული შესაძლებლობების შემდგომი განვითარება და პოპულარიზება;
2. საჯარო და კერძო ინფრასტრუქტურის გაუმჯობესება, რომელიც ხელს შეუწყობს მუნიციპალიტეტის ეკონომიკურ წინსვლას;
3. სამეწარმეო გარემოს გაუმჯობესება და კერძო სექტორის საჭიროებებს მორგებული კვალიფიციური კადრის არსებობა.

სტრატეგიული მიზნების მისაღწევად განისაზღვრა ისეთი ქმედებების ერთობლიობა, როგორებიცაა: კერძო და საჯარო თანამშრომლობის პლატფორმის ჩამოყალიბება, მეწარმეთა და პოტენციური სამუშაოს მაძიებელთა უნარების და კვალიფიკაციის ზრდა, მედია-ტურის, ფესტივალების მოწყობა და საინიჯო ვიდეოს გაკეთება მუნიციპალიტეტის

ცნობადობის ასამაღლებლად, რამდენიმე ტურისტული ატრაქციის განვითარების კონცეფციის შემუშავება (ყვარლის ციხე - გალავანი, დოლოჭოპის არქეოლოგიური აღმოჩენა).

გეგმით განსაზღვრული ქმედებების გარკვეულ ნაწილს დააფინანსებს მუნიციპალიტეტი თავისი ბიუჯეტიდან, ნაწილი დაფინანსდება ცენტრალური ბიუჯეტიდან, ხოლო ქმედებების ნაწილის დაფინანსებს კერძო ინიციატივები და დონორი ორგანიზაციები (თუმცა ამას სჭირდება გარკვეული სამუშაოს ჩატარება დაფინანსების მოსაპოვებლად).

2. შინაარსი

მერის მიმართვა.....	Error! Bookmark not defined.
1. მოკლე შეჯამება.....	3
2. შინაარსი.....	5
3. დანართები და აბრევიატურები.....	5
4. გეგმის შესავალი.....	6
5. ადგილობრივი ეკონომიკური განვითარების გეგმის შემუშავების პროცესი.....	7
6. ადგილობრივი ეკონომიკური ანალიზი.....	7
7. SWOT ანალიზი.....	15
8. ხედვა და მიზნები.....	17
9. სამოქმედო გეგმა.....	17
10. დაფინანსების სქემა.....	24
11. მონიტორინგის ინდიკატორები და მექანიზმები.....	25

3. დანართები და აბრევიატურები

დანართები:

დანართი ა. ადგილობრივი ეკონომიკური განვითარების გეგმის შემუშავების პროცესი
დანართი ბ. ინფორმაცია და მონაცემები ყვარლის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი ეკონომიკური ანალიზისთვის

აბრევიატურები:

დეს - დოკუმენტბრუნვის ელექტრონული სისტემა;
M4EG - „მერები ეკონომიკური ზრდისთვის“;
LEDP - ადგილობრივი ეკონომიკური განვითარების გეგმა;
LED - ადგილობრივი ეკონომიკური განვითარება;
SWOT - ძლიერი და სუსტი მხარეები, შესაძლებლობები და საფრთხეები;
NAT- აუქციონის გარეშე ტენდერი

4. გეგმის შესავალი

ყვარლის მუნიციპალიტეტი ინიციატივას M4EG შეუერთდა და ხელი მოაწერა შეთანხმებას კლუბში გაწევრიანების შესახებ 2018 წლის აპრილში, რითაც, ერთის მხრივ, შეიქმნა წინაპირობა M4EG ინიციატივის ფარგლებში ხელი შეეწყოს ადგილობრივ მუნიციპალურ ორგანოების, კერძო და სამოქალაქო სექტორის პარტნიორობას, რათა ეკონომიკური განვითარების კუთხით მათი საქმიანობა აქცენტირებული იყოს ზრდაზე და სამუშაო ადგილების შექმნაზე; ხოლო მეორეს მხრივ, აღნიშნული კლუბის წევრობა მთელ რიგ ვალდებულებებს აკისრებს მუნიციპალიტეტს, კერძოდ: გამოხატოს მზაობა მჭიდროდ ითანამშრომლოს ბიზნესისა და სამოქალაქო საზოგადოების თემებთან, ჩამოაყალიბოს მათთან პარტნიორული ურთიერთობები, ხელი შეუწყოს ადგილობრივ ეკონომიკის მდგრად და ინკლუზიურ ზრდა-განვითარებას.

ყვარლის მუნიციპალიტეტი მდებარეობს აღმოსავლეთ საქართველოში, კახეთის მხარის ჩრდილო-აღმოსავლეთ ნაწილში. იგი ესაზღვრება კახეთის 3 მუნიციპალიტეტს (თელავის მუნიციპალიტეტი, გურჯაანის მუნიციპალიტეტი, ლაგოდეხის მუნიციპალიტეტი) და დაღესტნის ავტონომიური რესპუბლიკას (რუსეთის ფედერაცია).

მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ ცენტრს წარმოადგენს ქალაქი ყვარელი. მას ქალაქის სტატუსი აქვს 1964 წლიდან. დედაქალაქიდან დაშორება არის 151 კმ. უახლოეს რკინიგზის სადგურ მუკუზნიდან - 26კმ, ხოლო კახეთის ადმინისტრაციული ცენტრიდან - ქალაქ თელავიდან - 38 კმ-ით. ყვარლის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არ გადის რკინიგზის ხაზი და ქვეყნის მნიშვნელოვან ცენტრებთან დაკავშირება ხდება საავტომობილო გზებით.

ყვარლის მუნიციპალიტეტში გაერთიანებულია 1 ქალაქი და 21 სოფელი და ცხოვრობს 14.7 ათასი ოჯახი და 30.3 ათასი ადამიანი, მათგან 7.7 ათასი ქალაქად. საქსტატის ბოლო რამდენიმე წლის მონაცემების მიხედვით მუნიციპალიტეტის მოსახლეობა არ მცირდება. ამის გარდა, არ შემცირებულა მიგრაციის პროცესები. მოსახლეობის შრომისუნარიანი ნაწილი აგრძელებს გასვლას საზღვარგარეთ ან/და დედაქალაქში. მიგრანტების ძირითად ნაწილს ქალბატონები წარმოადგენენ, რაც ამძიმებს მუნიციპალიტეტის დემოგრაფიულ მდგომარეობას. მიგრაციის პროცესის მსხვერპლნი ასევე არიან ახალგაზრდები, რომელთაც ადგილზე ვერ მოიძიეს სამუშაო. ახალგაზრდების მიგრაციის შეჩერება და შობადობის მატების ხელშეწყობა მუნიციპალიტეტის წინაშე არსებული გამოწვევაა. ამიტომ მნიშვნელოვანია მუნიციპალიტეტის ხელისუფლებამ და დაინტერესებულმა პარტნიორებმა ინტენსიურად იფიქრონ და შეიმუშაონ განვითარების ისეთი გეგმა, რომელიც მინიმუმ წინაპირობას მაინც შექმნის ეკონომიკური ზრდისთვის, რაც თავისთავად გამოიწვევს ახალგაზრდების ადგილზე დამაგრებას და დასაქმების შესაძლებლობების ზრდას.

წინამდებარე ადგილობრივი ეკონომიკური განვითარების გეგმა არის პირველი პრეცედენტი, როდესაც დოკუმენტის შემუშავების პროცესში შედგა თანამშრომლობა საჯარო, სამოქალაქო და კერძო სექტორებს შორის. აღნიშნული თანამშრომლობა ჩამოაყალიბდა ურთიერთობის ისეთ პლატფორმად, როდესაც დაინტერესებული მხარეები ერთად მსჯელობენ ისეთი გეგმის შექმნაზე, რომელიც იქნება მუნიციპალიტეტის ეკონომიკურ ზრდაზე, დასაქმების სტიმულირებასა და კერძო სექტორის განვითარებაზე ორიენტირებული.

დოკუმენტი თანხვედრაშია მუნიციპალიტეტის 2019-2021 წლების პრიორიტეტის დოკუმენტთან და ასევე შემდეგ დოკუმენტებთან: „ყვარლის მუნიციპალიტეტის განვითარების სტრატეგია 2018-2021“ და „კახეთის რეგიონის განვითარების სტრატეგია 2018-2021“.

ადგილობრივი ეკონომიკური განვითარების გეგმა ეს არის , როგორც არაერთხელ აღინიშნა, სექტორებს შორის პარტნიორობის შედეგად შექმნილი დოკუმენტი და

მხოლოდ ფოკუსირებულია ეკონომიკურ განვითარებაზე. შესაბამისად ეს განასხვავებს მას სოციალურ-ეკონომიკური განვითარების სტრატეგიული გეგმისგან, რომელიც უკვე არსებობს ყვარლის მუნიციპალიტეტში.

წინამდებარე გეგმით გათვალისწინებული პროექტების და აქტივობების დაახლოებით 40% დაფინანსებული იქნება ადგილობრივი ბიუჯეტის მიერ და ეს დაფინანსება გათვალისწინებული იქნება 2020-2021 წლების მუნიციპალიტეტის ბიუჯეტებში, ხოლო დანარჩენი ნაწილის დაფინანსების სავარაუდო წყაროებია მაღალი დონის ბიუჯეტი, დონორი ორგანიზაციები და კერძო ინიციატივა.

5. ადგილობრივი ეკონომიკური განვითარების გეგმის შემუშავების პროცესი

ყვარლის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი ეკონომიკური განვითარების გეგმა შემუშავებულია იმ ძირითადი პრინციპის საფუძველზე, რაც გათვალისწინებულია M4EG-ს მიერ მოწვდილ მეთოდოლოგიაში და რაც გულისხმობს კერძო, საჯარო და სამოქალაქო პარტნიორობას. მნიშვნელოვანია, რომ მუნიციპალიტეტში მსგავსი თანამშრომლობის პრაქტიკა თითქმის არ არსებობდა და გეგმის შედგენის პროცესში მიღებული გამოცდილება აუცილებლად იქნება გამოყენებული შემდგომად.

მერის ბრძანებით შეიქმნა გეგმაზე მომუშავე 4 კაციანი სამუშაო ჯგუფი, რომელიც მოიცავდა კერძო, საჯარო და სამოქალაქო სექტორებს. აღსანიშნავია, რომ მერის გადაწყვეტილებით პარტნიორობა სექტორებს შორის შედგა უკვე არსებული სამოქალაქო მრჩეველთა საბჭოს საფუძველზე, რომლის შემადგენლობაშიც შედიან როგორც კერძო, სამოქალაქო და საჯარო სექტორის წარმომადგენლები, ისე ცალკეული მოქალაქეები, დაინტერესებული პირები სხვადასხვა პროფესიებით (ექიმი, ადგილობრივი მედიის წარმომადგენელი, მხატვარი, სპორტსმენი და სხვა.). პარტნიორობის შემადგენლობაში ასევე შევიდნენ განათლების სფეროს 4 წარმომადგენელი და ყვარლის რაიონის ახალგაზრდული ასოციაციის წარმომადგენლები.

გეგმის შემუშავების პროცესში ჩატარდა ერთი გაფართოებული შეხვედრა, ხოლო შემდეგ სექტორების მიხედვით რამდენიმე ჯგუფური თუ ინდივიდუალური შეხვედრა. ასევე შეიქმნა ონლაინ ჯგუფი სადაც აქტიურად ხდებოდა გეგმის მიმდინარეობის პროცესში სხვადასხვა საკითხების განხილვა. ჯგუფური მუშაობის ეს მეთოდი საკმაოდ ეფექტური აღმოჩნდა, რადგან ონლაინ რეჟიმში მუშაობა არ მოითხოვს შეხვედრების ორგანიზებას, შესაბამისად სამუშაო პროცესი არის უფრო მოქნილი და ინტერაქტიული. (<https://www.facebook.com/messages/t/1974829642566109>)

LED გეგმის იმ ნაწილში, რომელიც ეხება ხედვას, სტრატეგიულ მიზნებსა და სამოქმედო გეგმის შემუშავებას, აქტიურად იყვნენ ასევე ჩართულები უშუალოდ მერი და ადგილობრივი თვითმმართველობის (მერიის სამსახურები, საკრებულოს წარმომადგენლები) წარმომადგენლები.

სამუშაო ჯგუფის შესახებ დეტალური ინფორმაცია იხილეთ დანართში „ა“.

6. ადგილობრივი ეკონომიკური ანალიზი

6.1. ადგილობრივი ეკონომიკური სტრუქტურის ანალიზი

ყვარლის მუნიციპალიტეტისთვის ეკონომიკური განვითარების შესაძლებლობებს განსაზღვრავს აგრარული სექტორი, ასევე ტურიზმის, გადამამუშავებელი მრეწველობის, მომსახურების და ვაჭრობის სფეროები, და შესაბამისად მოსახლეობის შემოსავლების ძირითადი წყაროებია მევენახეობა-მეღვინეობა, ვაჭრობა-მომსახურება და ტურიზმი.

ყვარლის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული ბუნებრივი რესურსები ქმნის წინაპირობას და შესაძლებლობას, რომ კიდევ უფრო განვითარდეს ისეთი დარგები, როგორცაა ხე-ტყის გადამამუშავებელი წარმოება; სამშენებლო მასალის, კერძოდ აგურის და კრამიტის წარმოება (ყვარლის მუნიციპალიტეტი მდიდარია თიხის საბადოებით), ასევე არის მარმარილოს საბადო, რომელიც ამ ეტაპისთვის აუთვისებელია. ყვარლის მტკნარი წყლის მარაგები და ყვარლის ჰორიზონტის სუბარტეზიული აუზი იძლევა საშუალებას დიდი რაოდენობით ჩამოისხას სასმელი წყალი. აუთვისებელია აგრეთვე მდ. დურუჯის მყარი ნატანი, რომელიც ერთის მხრივ საფრთხეს უქმნის ქალაქ ყვარელს ღვარცოფული ხასიათის გამო, ხოლო მეორეს მხრივ წარმოადგენს უპირფასეს ნედლეულს სამშენებლო მასალების - ცემენტი, კერამიკის ბლოკი წარმოებისთვის, ასევე შავი მინის და მინერალური სასუქის დასამზადებლად.

ყვარლის მუნიციპალიტეტისთვის წამყვანი ეკონომიკური სფეროს წლიური ბრუნვის და მოგების მიხედვით წარმოადგენს მეღვინეობა-მევენახეობა და ამ სექტორში ბოლო რამდენიმე წელიწადია განსაკუთრებული ზრდა შეინიშნება. მუნიციპალიტეტის დასაქმებულთა და თვითდასაქმებულთ დიდი უმრავლესობაც, დაახლოებით 70% ამ სფეროზე მოდის. მეღვინეობა, მევენახეობასთან ერთად წარმოადგენს ყვარლის მუნიციპალიტეტის ეკონომიკის ღირებულებათა ჯაჭვის მთავარ შემადგენელ ნაწილს. ჩვენს ხელთ არსებული ინფორმაციით დღეს ყვარელში მოქმედებს 35 მცირე და დიდი ზომის ღვინის ქარხანა, მაშინ როდესაც 2016 წელს მათი რაოდენობა 23 იყო. გაზრდილია ასევე ფართობები სადაც გაშენებულია ვენახები. მაგალითისთვის თუ 2013 წლისთვის ვენახების ფართობები იყო 4026 ჰექტარი, 2018 წლისთვის მათმა რაოდენობამ შეადგინა 7295 ჰექტარი, ხოლო მიღებული შემოსავლის ოდენობა რამოდენიმეჯერ გაიზარდა. იმ ფაქტორმა, რომ ყვარელში წარმოდგენილია მევენახეობის უნიკალური მიკროზონა - „ქინძმარაული“ დიდი გავლენა იქონია სფეროს ზრდის ტენდენციაზე, რადგან აღნიშნულ მიკროზონაში მოწეული ყურძნის საბაზრო ფასი ორჯერ აღემატება სხვაგან მოწეულ ყურძნის ფასს, რაც თავისთავად დიდი სტიმულია მევენახეებისთვის, რომ კიდევ უფრო გაზარდონ ვენახების ფართობები. თუმცა არსებობს სტიქიური მოვლენების შედეგად (სეტყვა, ქარი) მოსავლის დაზიანების სერიოზული რისკები, რომელსაც გარკვეულწილად აკომპენსირებს აგრო დაზღვევის სახელმწიფო პროგრამა და კერძო დაზღვევის შესაძლებლობა.

სოფლის მეურნეობის დარგებიდან ასევე განვითარების გარკვეულ ეტაპზე იმყოფება და რეალური პერსპექტივა აქვს მეხილეობას და მრავალწლიან ნარგავებს (კაკლოვანი, კენკროვანი კულტურები), რომელთა გაშენებაც ინტენსიურად მიმდინარეობს სახელმწიფო პროგრამის „დანერგე მომავალი“ ხელშეწყობით. მეცხოველეობა, საკონსერვო წარმოება ასევე არის წარმოდგენილი მუნიციპალიტეტში და ამ სფეროების კიდევ უფრო განვითარების რეალური პერსპექტივაც არსებობს. 2018 წელს ქ. ყვარელში გაიხსნა ხილის გადამამუშავებელი საწარმო, რომელიც წარმოებული პროდუქციის ძირითად ნაწილს ექსპორტზე გზავნის.

როგორც აღვნიშნეთ ტურიზმი წარმოადგენს ერთ-ერთი მზარდ და შემოსავლიან სფეროს ყვარლის მუნიციპალიტეტისთვის. აქ სტუმარ-მასპინძლობის ინდუსტრია და მასთან დაკავშირებული დარგები დინამიურად ვითარდება. სახეზე გვაქვს სასტუმრო-სარესტორნე ბიზნესის 30%-იანი ზრდის მაჩვენებელი ბოლო სამი წლის განმავლობაში. ყვარელში წარმოდგენილ განთავსების ობიექტები ყველა გემოვნების ვიზიტორზეა მორგებული (კურორტი ყვარლის ტბა, ყვარელი ედემი, როიალ ბატონი).

ყვარელს აქვს ამბიცი, რომ არის საეთაშორისო დონის ტურისტული ქალაქი, რომელიც წამყვანი ტურ ოპერატორების ყველა ძირითად პაკეტშია შესული. აქ იქმნება ახალი ატრაქციები და ანიმაციები, რაც ტურისტული დანიშნულების ადგილების ზრდას იწვევს. ამ პროცესს ხელს უწყობს ისეთი ფაქტორები, როგორცაა ჯერაც აუთვისებელი ანდა

მივიწყებული რესურსის განვითარება, ასევე ახალი არქეოლოგიური აღმოჩენები, მაგალითად დოლოჰოპი, ნელქარისი, ჭაბუკაური და სხვა, ხელშეუხებელი ბუნებრივი ლანდშაფტი, ტრადიციები, კულინარია და ა.შ. კულტურულ-ისტორიული ტურიზმი ყვარლისთვის ტრადიციული მიმართულებაა, რადგან აქ ვხვდებით გრემის და ნეკრესის ისტორიულ კომპლექსებს, რომელთაც ეროვნული მნიშვნელობის კულტურული მემკვიდრეობის სტატუსი აქვთ განსაზღვრული. ღვინის ტურიზმი, მასზე მაღალი მოთხოვნილებიდან გამომდინარე, ერთ-ერთი ყველაზე მზარდი, შემოსავლიანი და პოპულარული მიმართულებაა ყვარელში. აქ შეხვდებით როგორც დიდ მეღვინეობებს, ისე საოჯახო ტიპის მარნებს, რომლებიც მათში განვითარებული ტურისტული ინფრასტრუქტურით უფრო და უფრო მეტ ტურისტს მასპინძლობენ. წლიდან წლამდე ღვინის ტრადიციული კახური ტექნოლოგიით დაინტერესებული და ზოგადად ყვარლის ადგილწარმოშობის ღვინოებით მოხიბლული ტურისტების რაოდენობა საგრძნობლად იზრდება: 2015 წელი – 35 721, 2018 წელი - 120 346. იზრდება აგრეთვე ღვინის მწარმოებელი ქარხნების თუ საოჯახო მარნების რაოდენობაც. ხოლო უკვე არსებულში ხდება დამატებითი ინვესტირება ინფრასტრუქტურის და შესათავაზებელი პროდუქტის გასავითარებლად. მნიშვნელოვანია, რომ ყვარელში განვითარდეს ბალნეოლოგიურ-გამაჯანსაღებელი ტურიზმი, რისი ტრადიციაც არსებობდა. დღეისათვის აუთვისებელია ფიქალების, ზინობიანის და შაქრიანის კურორტები, სადაც გამაჯანსაღებელი წყლები და უნიკალური მიკროკლიმატია წარმოდგენილი. ტურიზმზე აქცენტირებამ ყვარელში განაპირობა თავისი შინაარსით ძალიან საინტერესო მუზეუმის „ ფულის მუზეუმის“ გახსნა, რომელიც ილია ჭავჭავაძის, კოტე მარჯანიშვილის და გრემ-ნეკრესის მუზეუმების გვერდით კიდევ ერთ საინტერესო მიზიდულობის ადგილს წარმოადგენს ქალაქის ვიზიტორებისთვის.

აღნიშნული სფეროს კიდევ უფრო გასავითარებლად და ტურისტული მუნიციპალიტეტის იმიჯის შესანარჩუნებლად საჭიროა ისეთი სუსტი მხარეების დაძლევა, რომელიც რეალურად აფერხებს სფეროს განვითარებას. ესენია: სასმელი წყლის და საკანალიზაციო სისტემის გაუმართაობა, დანიშნულების ადგილის მიგნების პრობლემა, ყვარლის ტურისტული შესაძლებლობების არასათანადო რეკლამირება; თანამედროვე მოთხოვნებზე მორგებული ავტოსადგურის არარსებობა; ზოგიერთ კულტურული მემკვიდრეობის ძეგლთან მისასვლელი მოუწყვრებიერი გზა.

6.2. ადგილობრივი თანამშრომლობა და ქსელური კავშირები

სამწუხაროდ სისტემური ხასიათის თანამშრომლობა სექტორებს შორის ადგილობრივ დონეზე ყვარლის მუნიციპალიტეტში განვითარებას საჭიროებს. არ არსებობს არც ერთი რეგისტრირებული ბიზნეს ასოციაცია, რომელიც ერთი ან რამდენიმე მიმართულების ბიზნეს სუბიექტებს გააერთიანებდა და მათ თანამშრომლობას და საქმიანობას უფრო ეფექტურს გახდიდა. მეწარმეები პირადი ნაცნობობის დონეზე ამყარებენ ინდივიდუალურ ბიზნეს კავშირებს, სადაც ერთმანეთს უზიარებენ ინფორმაციას თუ გამოცდილებას. მუნიციპალიტეტში თანამშრომლობისა და კომუნიკაციის სტრუქტურული მექანიზმი ან რაიმე პლატფორმა ჩამოყალიბებული არ არის.

სოფლის მეურნეობაში არსებობს გარკვეული სახის სტრუქტურირებული თანამშრომლობის გამოცდილება, რაც, ერთის მხრივ გამოიხატება სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების არსებობით, რომელთა განვითარებას, ფინანსურ გაძლიერებას, კვალიფიკაციის ამაღლებას და მსგავსი ტიპის თანამშრომლობის წახალისებას აქტიურად უწყობენ ხელს მთელი რიგი სახელმწიფო ინიციატივები თუ საერთაშორისო ორგანიზაციები, ხოლო მეორეს მხრივ არსებობს აგრო სექტორის მხრიდან დანახული საჭიროება და სურვილი საერთო ინტერესებიდან გამომდინარე რაიმე ფორმით გაერთიანების. სწორედ ამ მიზნით შექმნილია აგრო ფერმერთა საინიციატივო ჯგუფი,

რომელიც მიუხედავად იმისა, რომ არ არის ოფიციალურად რეგისტრირებული, მათი საქმიანობა ატარებს გარკვეულ საინფორმაციო-საკონსულტაციო ხასიათს. ისინი აქტიურად თანამშრომლობენ სოფლის მეურნეობის საინფორმაციო-საკონსულტაციო ცენტრთან და საჭიროების შემთხვევაში ადგილობრივ ხელისუფლებასთან და დამწყებ ფერმერებთან. საჭირო და დროულია ფიქრი სექტორებს შორის რაიმე სახის თანამშრომლობის პლატფორმის ჩამოყალიბებაზე. ეს შეიძლება იყოს მუნიციპალიტეტის ბიზნეს საკონსულტაციო საბჭო ან ბიზნეს ასოციაცია ანდა მოიძებნოს თანამშრომლობის სრულიად სხვა ფორმა. მთავარია შეიქმნას თანამშრომლობის შესაძლებლობა ერთის მხრივ საჯარო და კერძო სექტორებს შორის, ხოლო მეორეს მხრივ ადგილობრივი ბიზნესის წარმომადგენლებს შორის საერთო საჭიროებებზე სამსჯელოდ. ადგილობრივი თანამშრომლობის შეფასება იხილეთ დანართი ბ.

6.3. ბიზნესსადმი მეგობრული, გამჭვირვალე და კორუფციისაგან თავისუფალი ადმინისტრაცია

მუნიციპალიტეტის მერიაში საქმისწარმოება ხორციელდება დოკუმენტბრუნვის ელექტრონულ სისტემის მეშვეობით, რაც ამცირებს დოკუმენტბრუნვის დროს. დეს-ის მეშვეობით ასევე გაუმჯობესებულია მუნიციპალიტეტის წვდომა ყველა სამთავრობო თუ სხვა საჯარო დაწესებულებასთან. მერიაში ფუნქციონირებს მოქალაქეთა მომსახურების ბიურო, სადაც მოქალაქეების მიერ ელ-ფოსტით, ფოსტით თუ ხელზე შეტანილი განცხადება „ერთი ფანჯრის პრინციპის“ საფუძველზე რეგისტრირდება მერიის დოკუმენტ ბრუნვის ელექტრონულ სისტემაში. მოქალაქეს აღარ უწევს სიარული ერთი სამსახურიდან მეორეში, განცხადების შესატანად და პასუხის მისაღებად. მას მოქალაქეთა მომსახურების ბიუროში შეუძლია მიიღოს ეს სერვისი.

მუნიციპალიტეტის მერიაში არის საჯარო ინფორმაციის გაცემაზე პასუხისმგებელი პირი, რომელიც არსებულ ვადაში გასცემს საჯარო ინფორმაციას. მოქმედებს მერიის ვებ-გვერდი, თუმცა არსებული პერიოდისთვის იგი არ არის სულად დატვირთული და ამუშავებული. ასევე მერიის ადმინისტრაციული სამსახურის დაქვემდებარებაში არის საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახური, რომელიც სოციალური ქსელების მეშვეობით აქტიურად აშუქებს ადგილობრივი ხელისუფლების ჩართულობით განხორციელებულ აქტივობებს.

მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკის სამსახურში შემავალი განყოფილებები (ეკონომიკის ქონების მართვისა და სტატისტიკის განყოფილება, საგარეო ურთიერთობების საერთაშორისო პროექტების და ტურიზმის განყოფილება) ბიზნეს სექტორთან ურთიერთობენ მომართვის შემთხვევაში, გასცემენ მის ხელთ არსებულ ინფორმაცია სახელმწიფო თუ საერთაშორისო დონორი ორგანიზაციების მიერ მხარდაჭერილ ბიზნესის განვითარების პროგრამებზე. თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ ბიზნეს სექტორის მხრიდან არის დაბალი ინტერესი საჯარო სექტორთან თანამშრომლობაზე, რაც ალბათ გამოწვეულია თანამშრომლობის არასისტემური და არა ინსტიტუციონალური ხასიათით. ტურიზმის განყოფილება ასევე ითავსებს ტურიზმის საინფორმაციო ცენტრის მართვას ტურიზმის ეროვნულ ადმინისტრაციასთან ერთად, სადაც პერიოდულად ეწყობა შეხვედრები ამ სფეროში მოქმედ ბიზნეს სუბიექტებთან, თუ ინდივიდუალურ დაინტერესებულ პირებთან. ტურიზმის საინფორმაციო ცენტრი აწარმოებს ტურისტულ სტატისტიკას და ქმნის და ანახლებს სფეროში მოქმედი ბიზნეს სუბიექტების ბაზას.

მუნიციპალიტეტის მერიის მიერ გამოცხადებული ტენდერები არის ელექტრონული და განთავსებულია სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს ვებ-გვერდზე, სადაც ყველა დაინტერესებულ პირს შეუძლია თავისი სატენდერო წინადადების წარდგენა. სატენდერო კომისიის საქმიანობა გამჭვირვალეა და მათი ყველა გადაწყვეტილება

აიტვირთება სააგენტოს ვებ-გვერდზე. 2018 წლიდან მუნიციპალიტეტის მერიის მიერ ცხადდება NAT ტენდერები, რაც უზრუნველყოფს შესყიდვის მონაწილეთა შორის ჯანსაღ კონკურენციას, შესყიდვის მონაწილეთა მიმართ არადისკრიმინაციულ და თანასწორ მიდგომას.

რაც შეეხება მუნიციპალიტეტის ქონების სარგებლობის უფლებით გაცემას ან პრივატიზებას, იგი ყვარლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის #7 დადგენილების საფუძველზე ხორციელდება საჯარო აუქციონის მეშვეობით. საპრივატიზებო და სარგებლობის უფლებით გასაცემი ქონების მონაცემები თავსდება ფინანსთა სამინისტროს მომსახურების სააგენტოს ვებ გვერდზე, ასევე ქვეყნდება ინფორმაცია ადგილობრივ მედიის საშუალებებში. აუქციონში მონაწილეობის მიღება შეუძლია ნებისმიერ დაინტერესებულ პირს.

საკრებულოში ყველა წინაპირობაა შექმნილი მოქალაქეთა ჩართულობის კუთხით. მორიგი და რიგგარეშე სხდომებიც არის საჯარო და ყველა მსურველს შეუძლია დასწრება რეგლამენტის გათვალისწინებით. ასევე, წინასწარ არის დაანონსებული სხდომები ადგილობრივი მედიის საშუალებების გამოყენებით, თუმცა ბოლო წლების გამოცდილებამ აჩვენა, რომ სამოქალაქო და განსაკუთრებით კერძო სექტორის მიმართვიანობა და ინტერესი წარმომადგენლობით ორგანოსთან თანამშრომლობის მიმართ მინიმალურია.

მუნიციპალიტეტში მოქმედებს მერიის ოფიციალური პერიოდული გაზეთი, რომელიც აქტიურად აშუქებს მერიის და საკრებულოს მუშაობას. თუმცა არ არსებობს დამოუკიდებელი მედია საშუალებები, რომლის არსებობაც გარკვეულწილად ხელს შეუწყობდა სამოქალაქო ჩართულობას და ადმინისტრაციის საქმიანობის მეტ გამჭვირვალობას. მუნიციპალიტეტის მერია აქტიურად განიხილავს კერძო სექტორთან თანამშრომლობის და ურთიერთობის ეფექტური პლატფორმის შექმნას, რომელიც გააუმჯობესებს მათთან კომუნიკაციას, უზრუნველყოფს მათ ინფორმირებულობას სახელმწიფო და დონორი საერთაშორისო ორგანიზაციების ბიზნესის მხარდაჭერის პროგრამებზე, რაც თავის მხრივ გამოიწვევს სისტემური, ეფექტური და შედეგზე ორიენტირებული ურთიერთ თანამშრომლობის ჩამოყალიბებას კერძო და საჯარო სექტორებს შორის და შეამცირებს ბიზნესის დაბალ ინტერესს და ნდობას საჯარო სექტორთან თანამშრომლობაზე.

ადგილობრივი ხელისუფლების წახალისებით უნდა შეიქმნას ბიზნეს ასოციაცია, რომელიც შექმნის კარგ პრეცედენტს ურთიერთსასარგებლო თანამშრომლობისთვის.

ზრდის სექტორები (ქვე-სექტორები) და მათთან დაკავშირებული გამოწვევების შესახებ ინფორმაცია იხილეთ დანართ ბ-ში.

6.4. ფინანსების ხელმისაწვდომობა

ბიზნეს სექტორის განსავითარებლად საჭირო ფინანსურ რესურსზე ხელმისაწვდომობა არსებითი პრობლემაა საქართველოს უმეტეს მუნიციპალიტეტებში. ამ მხრივ გამონაკლისს არც ყვარლის მუნიციპალიტეტი წარმოადგენს. აქ შეიძლება ვისაუბროთ რამდენიმე გამომწვევ ფაქტორზე. პირველ რიგში სამწუხაროდ არ არსებობს სტარტაპ და მცირე მეწარმეების ფინანსებზე წვდომის გასაუმჯობესებლად დაგეგმილია მუნიციპალური პროგრამები, რომლებიც ხელს შეუწყობს ბიზნესის განვითარებას. ფინანსური რესურსის მოძიება ძირითადად შესაძლებელია საქართველოში ლიცენზირებულ და მოქმედ კომერციულ ბანკებსა და მიკროსაფინანსო ორგანიზაციებში, რომლებიც გასცემენ 2 ათას და 500 ათას ლარამდე ოდენობის სესხებს მრეწველობის, სოფლის მეურნეობის, ტურიზმის მომსახურებისა და ვაჭრობის სფეროში. თუმცა სესხის

უზრუნველყოფა რეალურ პრობლემას წარმოადგენს მცირე ბიზნესისთვის და განსაკუთრებით სტარტაპებისთვის.

მოქმედებს ასევე მიკრო და მცირე ბიზნესის და სოფლის მეურნეობის ხელშეწყობის სახელმწიფო პროგრამები ასევე საერთაშორისო დონორი ორგანიზაციების მერ დაფინანსებული პროგრამები, რომლებიც ფინანსური რესურსით მხარდაჭერას გულისხმობს, თუმცა ადგილობრივი მცირე მეწარმეებისთვის აღნიშნული რესურსი სრულად ვერ არის ათვისებული პროგრამების შესახებ ინფორმაციაზე არასათანადო ხელმისაწვდომობის და რიგ შემთხვევებში სათანადო უნარების და ცოდნის უქონლობის გამო. საჭიროა არსებობდეს საინფორმაციო ანდა საკონსულტაციო დატვირთვის მქონე სტრუქტურა, რომელიც დაეხმარებოდა ბიზნეს სექტორს დამარტებით და იაფი ფინანსური რესურსის მოძიებაში. ფინანსებზე წვდომის შესაძლებლობებზე იხილეთ დანართი ბ.

6.5. მიწა და ინფრასტრუქტურა

დღეისათვის გვაქვს ტენდენცია, როდესაც ბიზნესის მხრიდან იზრდება მოთხოვნა შენობა-ნაგებობებზე, მიწასა და ინფრასტრუქტურაზე. შესაბამისად, ყვარლის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში არსებული მიწის თუ შენობა - ნაგებობებით სარგებლობის მსურველთა რიცხვიც დღითიდღე იზრდება.

ყვარლის მუნიციპალიტეტში მიწის ფონდიდან სასოფლო-სამეურნეო სავარგული შეადგენს 35,8 ათას ჰა-ს. აქედან სახნავია 13 355ჰა; მრავალწლიან ნარგავს უკავია 10 290ჰა; სამოვარი შეადგენს: 11 439 ჰა-ს; არასასოფლო - 6055ჰა, ხოლო ტყესა და ბუჩქნარს უკავის 58 941 ჰა.

მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკის სამსახურის ქონების მართვისა და სტატისტიკის განყოფილება ახორციელებს მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული მიწის ნაკვეთების იდენტიფიცირებას, დაურეგისტრირებელი მიწების მუნიციპალიტეტის საკუთრებაში რეგისტრაციას ასევე, საკუთრებაში არსებული შენობა-ნაგებობების ინვენტარიზაციას. დღეისათვის მუნიციპალურ საკუთრებაში არსებული ქონება ასე გამოიყურება: სახნავ-სათესი მიწის ფართობი - 188294კვ.მ; სამოვარი - 20 000კვ.მ; ტბორი - 28 000კვ.მ; არასასოფლო მიწა - 13 581 729კვ.მ; შენობა-ნაგებობები - 43700კვ.მ.

ხდება როგორც მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების პრივატიზაცია, ასევე საოფისე ფართების იჯარით გაცემა. ამ ეტაპზე გაცემულია სულ 10 ობიექტი, როგორც სასაქონლო იჯარით, ასევე უზუფრუქტის წესით, თუმცა მოთხოვნა მიკრო და მცირე ბიზნესის კომპანიების მხრიდან საოფისე ფართებზე გაცილებით დიდია. არსებობს კერძო საკუთრებაში არსებული გასაქირავებელი ფართებიც, თუმცა არახელსაყრელი და მაღალი ფასის გამო მცირე მეწარმეები ძირითადად ვერ ახერხებენ აღნიშნული ფართების დაქირავებას. მუნიციპალიტეტი განიხილავს კერძო სექტორის ინტერესებზე მორგებული ბიზნეს ინკუბატორის შექმნის იდეას, თუმცა ამ ეტაპზე აღნიშნული იდეის განსახორციელებლად საჭირო რესურსი ვერ იქნა მოძიებული.

მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული შენობა-ნაგებობების და მიწის მნიშვნელოვანი ნაწილი არის სახელმწიფოს საკუთრებაში, რაც ართულებს მათ გამოყენებას შემდგომში მათზე ინვესტირების მიზნით. დასაბუთებული მოთხოვნის შემთხვევაში ქონება გადმოდის მუნიციპალიტეტის ბალანსზე თუმცა პროცესი არცთუ ისე მარტივია და ხშირად დროში იწელება.

სახელმწიფო პროექტის ფარგლებში მიწის ნაკვეთებზე უფლებათა სისტემური და სპორადული რეგისტრაციის ფარგლებში მუნიციპალიტეტის ხელშეწყობით განხორციელდა 3200-ზე მეტი უძრავი ქონების (მიწის, საცხოვრებელი სახლის) რეგისტრაცია. კერძო სექტორის საჭიროებების შესახებ მიწისა და ინფრასტრუქტურის სფეროში მოცემულია დანართი ბ.

6.6. მარეგულირებელი და ინსტიტუციური ჩარჩოები

ყვარლის მუნიციპალიტეტში ადგილობრივი თვითმმართველობის მიერ განსაზღვრული რეგულაციებიდან, რომელიც ბიზნეს სექტორის საქმიანობაზე გავლენას ახდენს, შეგვიძლია გამოვყოთ: გარე ვაჭრობის წესის და მოსაკრებლის ტარიფის განსაზღვრა; შენობა-ნაგებობათა განთავსება/მშენებლობის ნებართვა და სანებართვო მოსაკრებელი; ზოგადად მუნიციპალურ დონეზე რეგულირდება ადგილობრივი მოსაკრებლების შემოღება-გაუქმებისა და ადმინისტრირების საკითხები.

2015 წლის ნოემბრიდან მშენებლობის ნებართვების გაცემა ხდება ელექტრონული საქმის წარმოებით მუნიციპალიტეტების მართვის MMS სისტემით.

ნებართვის გაცემის ყველა სტადიაზე ადმინისტრაციული აქტის გაცემა ხდება საქართველოს მთავრობის 2009 წლის 27 მარტის N57 დადგენილებით განსაზღვრულ და MMS სისტემით გაწერილ ვადებში. გამონაკლისს წარმოადგენს შემთხვევები, როცა პროექტის შეთანხმება უნდა მოხდეს სხვა ადმინისტრაციულ ორგანოსთან (საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტი, კულტურული მემკვიდრეობის დაცვის სააგენტო, გარემოს დაცვის სააგენტო, კომუნალური ქსელების და ხაზობრივი ნაგებობების მესაკუთრეები და სხვ.) ასეთ შემთხვევებში შესაძლებელია ადმინისტრაციული წარმოების ვადის გაგრძელება, მაგრამ არაუმეტეს 3 თვემდე.

მიუხედავად იმისა, რომ ყვარლის მუნიციპალიტეტის მერიის კანცელარიაში დანერგილია მომსახურების „ერთი ფანჯრის პრინციპი“, რომელიც აადვილებს მოქალაქეების და ბიზნესის წვდომას მუნიციპალურ სერვისებზე, ბიზნეს სექტორის წარმომადგენლები რიგ შემთხვევებში მაინც მიიჩნევენ, რომ განსაკუთრებით მშენებლობის ნებართვის მისაღებად საჭირო პროცედურის გავლისას უწევთ ბიუროკრატიული ბარიერების გადალახვა და პროცესი ხშირად დროში იწელება.

6.7. უნარები და ადამიანური კაპიტალი

საქართველოს სხვა რეგიონებთან შედარებით ყვარელში დასაქმების დონის და აქტივობის მაჩვენებლის მდგომარეობა უკეთესია. იგი მეტია ვიდრე საქართველოს საშუალო მაჩვენებელი და უახლოვდება კახეთის საშუალო მაჩვენებელს. აღსანიშნავია, რომ უმუშევრობის დონე ყვარელში ნაკლებია ვიდრე საქართველოში და უახლოვდება კახეთის რეგიონის საშუალო მაჩვენებელს. ეს ძირითადად სოფლის მეურნეობაში დასაქმებულთა და თვითდასაქმებულთა რაოდენობით არის განპირობებული.

ყვარელში მთლიანი მოსახლეობის 52 % სამუშაო ძალას წარმოადგენს, აქედან უმუშევარია 6.8 %, ხოლო აქტიური მოსახლეობის ყველაზე დიდ წილს - 75 %-ს თვითდასაქმებულები წარმოადგენენ, რომელთა შემოსავალიც არასტაბილურია ძირითადად სეზონურობის გამო.

როგორც ზემოთაც აღინიშნა ყვარლის მუნიციპალიტეტში მოსახლეობის დიდი ნაწილი (75%) თვითდასაქმებულია სოფლის მეურნეობის, ვაჭრობის, მომსახურების და ტურიზმის სფეროში და მათ შემოსავალსაც შესაბამისი საქმიანობები განსაზღვრავს. დასაქმების მხრივ მეორე ადგილზეა საბიუჯეტო ორგანიზაციები. აქტიური მოსახლეობის შედარებით მცირე ნაწილი დასაქმებულია კერძო კომპანიებში.

გარდა საჯარო სკოლებისა, მუნიციპალიტეტში არ ფუნქციონირებს არც ერთი სხვა სწავლების და განათლების პროვაიდერი. რადგანაც სკოლა ბავშვს აძლევს მხოლოდ ზოგად განათლებას და მისი პროგრამები არის ცენტრალურ დონეზე შემუშავებული და შეთანხმებული და არ იძლევა პროფესიული და გარემოსთან ადაპტირებადი განათლების მიღების საშუალებას, შესაბამისად რაიმე სახის დიალოგს პოტენციურ დამსაქმებლებსა

და საჯარო სკოლებს შორის გართულებულია. მიუხედავად იმისა, რომ ყვარლის მუნიციპალიტეტს აქვს პროფესიული საგანმანათლებლო სკოლის არსებობის დიდი ტრადიცია, დღეს ყვარლის ახალგაზრდობა ამ შესაძლებლობას მოკლებულია. ადგილობრივი მოსახლეობას უმაღლესი და პროფესიული განათლების მიღება ძირითადად დედაქალაქში და მეზობელ მუნიციპალიტეტებში არსებულ საგანმანათლებლო დაწესებულებებში უხდება. ადგილზე არ არის ასევე ტრენინგების თუ მოკლევადიანი სასწავლო კურსების პროვაიდერი ორგანიზაციებიც. კერძო სექტორის წარმომადგენლებთან გამართული კონსულტაციების დროს გამოიკვეთა იმის საჭიროება, რომ მომავალში ამ მიმართულებით რაიმე უნდა შეიცვალოს და შეიქმნას ადგილობრივ დასაქმების ბაზარზე მორგებული პროფესიული სასწავლებლის თუ სხვა სახის საგანმანათლებლო ცენტრების არსებობის წინაპირობა. როგორც აღვნიშნეთ დასაქმებულებს ან დასაქმების მაძიებლებს ცოდნის მიღება და კვალიფიკაციის ამაღლება ძირითადად სხვა მუნიციპალიტეტებში და უფრო ხშირად კი დედაქალაქში უწევთ. ზოგიერთი დამსაქმებელი ორგანიზაცია თვითონ უზრუნველყოფს კადრის დატრენინგებას შიდა რესურსებით თავისი საჭიროების შესაბამისად. მუნიციპალიტეტში არ არსებობს აგრეთვე დასაქმების სააგენტო. დასაქმების მსურველები პირადი კონტაქტებით და ინტერნეტ რესურსებით იძიებენ ვაკანსიებს. ამ ფონზე შესაძლებელია მუნიციპალიტეტის მიერ ადმინისტრირებულ ვებ გვერდზე გამოიყოს სივრცე და შეიქმნას პლატფორმა დასაქმების მაძიებლების და დამსაქმებლებისთვის, სადაც შესაძლებელი იქნება უფასოდ ინფორმაციის განთავსება ყვარლის მუნიციპალიტეტში დასაქმების სფეროში არსებული სიახლეების შესახებ.

6.8. გარე პოზიციონირება და მარკეტინგი

ადგილობრივი ეკონომიკური განვითარების გეგმის შემუშავების პროცესში ჩატარებული კვლევის შედეგად გამოვლინდა, რომ ადგილობრივ გამოკითხულთა უმეტესობა ყვარელს მიიჩნევს განვითარებული მეღვინეობა - მევენახეობის და ტურიზმის რაიონად. ნამდვილად როდესაც ვსაუბრობთ ყვარლის მუნიციპალიტეტის კონკურენტულ უპირატესობაზე პირველ რიგში აქცენტი უნდა გაკეთდეს მევენახეობა-მეღვინეობის ტრადიციაზე აქ არსებული მევენახეობის უნიკალური მიკროზონების (ქინძმარაულის მევენახეობის მიკრო ზონა და აქ მოწეული საფერავის ჯიშის ყურძნისგან დამზადებული ღვინო „ქინძმარაული“) და ადგილწარმოშობის ღვინის და საღვინე ბრენდის (ენისელი, გრემი) წარმოების ფაქტორზე. ამ მიმართულებით ბოლო წლების განმავლობაში განსაკუთრებით დიდი ოდენობის ინვესტიციები განხორციელდა კერძო სექტორის მხრიდან, როგორც ვენახების გაშენების ისე ღვინის და სხვა ალკოჰოლური სასმელების წარმოების კუთხით.

ტურიზმი, რომელიც რამდენიმე მიმართულებით არის გაშლილი ყვარელში, ასევე წარმოადგენს მუნიციპალიტეტისთვის ეკონომიკური საქმიანობის განმსაზღვრელ ერთ-ერთ ძირითად სფეროს და გარე პოზიციონირებისთვის კარგ შესაძლებლობას, როგორც ვიზიტორებისთვის მიმზიდველი ადგილი თავისი ლანდშაფტით და ადგილმდებარეობით, მასში არსებული ეროვნული მნიშვნელობის ისტორიული ძეგლებით, კულტურული და სტუმართმოყვარეობის ტრადიციებით და ღვინის ტურიზმის დანიშნულების პუნქტებით, მაღალი დონის სასტუმროებით და სარეკრეაციო-დასასვენებელი პარკებით, ბალნეოლოგიური (კურორტი ყვარელი, კურორტი ფიქალეხი), ეთნო ტურიზმის და რამდენიმე შედარებით იშვითი ტურისტული მიმართულების განვითარების რეალური რესურსით და შესაძლებლობით. მუნიციპალიტეტს სხვადასხვა ტურისტული მიზნით წელიწადში დაახლოებით 100 000 ტურისტი სტუმრობს.

ყვარლის მუნიციპალიტეტის მიზანია გახდეს უფრო მიმზიდველი როგორც ადგილობრივი მაცხოვრებლებისთვის ასევე მუნიციპალიტეტის ვიზიტორებისა და პოტენციური თუ არსებული ინვესტორებისთვის.

მარკეტინგული თვალსაზრისი ყვარელი მომგებიან მდგომარეობაშია, ყვარლის ცნობადობა ყოველთვის მაღალი იყო ზემოთ ჩამოთვლილი ფაქტორებიდან გამომდინარე, ხოლო მისი გაბრენდების პროცესი რამდენიმე წლის წინ დაიწყო ინტენსიურად, როდესაც სახელმწიფოს მხრიდან მოხდა მასშტაბური ინფრასტრუქტურული სამუშაოების ჩატარება, რათა ყვარელი გადაქცეულიყო უფრო აქტიურ და პოპულარულ ტურისტულ რაიონად და გამხდარიყო უფრო მიმზიდველი და მრავალფეროვანი, როგორც შიდა ისე გარედან შემოსული ვიზიტორებისთვის. კერძოდ რეაბილიტირებული და არქიტექტურულად სტილიზებულ იქნა ცენტრალური და მისი მიმდებარე ქუჩები, გაშენდა ილიას ტბის სარეკრეაციო-დასასვენებელი პარკი, მოეწყო თანამედროვე გარე განათება ქუჩებზე და სხვა. რამაც თავის მხრივ გამოიწვია ინვესტორების ინტერესების ზრდა, განსაკუთრებით სასტუმრო-საკურორტო და ღვინის ტურიზმის მიმართულებით (ყვარლის ტბა, ყვარელი ედემი, როიალ ბატონი, შატო ყვარელი და სხვა.)

იმისათვის, რომ პერსპექტივაში ყვარელი უფრო მყარად და მკაფიოდ იყოს პოზიციონირებული და შენარჩუნდეს ის ნიშა რითიც ეს მუნიციპალიტეტია ცნობილი, ანდა კიდევ გაჩნდეს ახალი მიმართულებით ყვარლის შესაძლებლობების განვითარების პერსპექტივა, საჭიროა, პირველ რიგში ადგილობრივი ხელისუფლების მხრიდან მუდმივად ხდებოდეს მუნიციპალიტეტის ახალი შესაძლებლობების ანალიზი. ასევე ყვარლის პოპულარიზაციასა და მისი მიმზიდველობაზე ზრუნვაც მუდმივი პროცესი უნდა იყოს, რაც კონკრეტულ ქმედებებში გამოიხატება: ყვარლის მაიდენტიფიცირებელი ლოგო, როგორც ხარისხის ნიშანი და მის ქვეშ გამოშვებული პროდუქცია, საიმიჯო ვიდეო რგოლები თუ ბროშურები და მათი წარდგენა სხვადასხვა გამოფენებსა თუ ბიზნეს ფორუმებზე, ადგილობრივი წარმოების წახალისება ახალი ბაზრების მოპოვებაში ხელის შეწყობის გზით, მუდმივი ინფრასტრუქტურული განვითარება და სწორი სივრცითი დაგეგმარება - ეს არის არასრული ჩამონათვალი იმ კონკრეტული ქმედებებისა, რომელიც შემდგომშიც შექმნის წინაპირობას ყვარლის მუნიციპალიტეტისთვის რათა ის სწორად იქნას პოზიციონირებული იმ ბაზარზე, რომელიც მისი შემდგომი განვითარებისთვის წარმოადგენს ინტერესის სფეროს.

7. SWOT ანალიზი

S – ძლიერი მხარეები	W – სუსტი მხარეები
<ul style="list-style-type: none"> • ტყის რესურსი; • მიწის რესურსის ხარისხი და ღვინის წარმოებისთვის ცნობადი მიკრო ზონები; • ცნობილი ბრენდული ალკოჰოლური სასმელების წარმოება; • ყურძნის გადამამუშავებელი ქარხნების მზარდი რაოდენობა; • საოჯახო ღვინის მარნების სიმრავლე და ღვინის დაყენების ტრადიციული მეთოდები; • სოფლის მეურნეობის სხვა მიმართულებების განვითარება (მრავალწლიანი ნარგავები, მეცხოველეობა, მეხილეობა და სხვა.); • სხვადასხვა მიმართულების ტურიზმის განვითარებისთვის ხელსაყრელი 	<ul style="list-style-type: none"> • კერძო, საჯარო და სამოქალაქო სექტორებს შორის სუსტად გამოხატული თანამშრომლობა; • ალტერნატიულ ფინანსურ რესურსებთან წვდომის არ ქონა; • ყვარლის მუნიციპალიტეტის სუსტად გამოხატული ბრენდირება და პოზიციონირება; • სამუშაო ადგილების სიმცირე და მიგრაციის მაღალი დონე; • ბიზნესის და მეწარმეობის განვითარების ხელშეწყობი სახელმწიფო პროგრამების შესახებ ინფორმაციის ნაკლებობა; • სასოფლო-სამეურნეო მიწების მოძველებული და არასაკმარისი სარწყავი სისტემები; • მოუწესრიგებელი შიდა საუბნო გზები

<p>პირობები;</p> <ul style="list-style-type: none"> • ყველა კატეგორიის ტურისტის მოთხოვნაზე მორგებული განთავსების ობიექტები (სასტუმროები, საოჯახო ტიპის სასტუმროები); • ჰიდროლოგიური რესურსები (სამკურნალო წყაროები, ბუნებრივი წყაროები, ჭაბურღილები). 	<p>ქალაქის ზოგიერთ და სოფლების უმეტეს ნაწილში;</p> <ul style="list-style-type: none"> • სასაწყობე და სამაცივრე მეურნეობების არარსებობა; • ხილის და ბოსტნეულის გადამამუშავებელი საწარმოების სიმცირე; • თანამედროვე სასოფლო-სამეურნეო ტექნოლოგიების გამოყენების დაბალი სიხშირე და შესაბამისი ცოდნის უქონლობა; • სუსტად განვითარებული სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივები; • წყლის რესურსის არასათანადო გამოყენება, არასრული გამრიცხველიანება მუნიციპალიტეტის მთელს ტერიტორიაზე; • დაზიანებული და ამორტიზებული წყალმომარაგების სისტემა; • ტურიზმის განვითარებისთვის ხელისშემშლელი ფაქტორები არსებობა; <ul style="list-style-type: none"> • დანიშნულების ადგილის მიგნების პრობლემა, ქუჩების და დანიშნულების ადგილების მისანიშნებელი აბრების სიმცირე; • ყვარლის ტურისტული შესაძლებლობების არასათანადო რეკლამირება; • არაკვალიფიციური გიდები და უცხო ენის ცოდნის დაბალი დონე; • საზოგადოებრივი ტრანსპორტის გადაადგილების გრაფიკი არაა ხელმისაწვდომი ტურისტებისთვის; • თანამედროვე მოთხოვნებზე მორგებული ავტოსადგურის არარსებობა; • ზოგიერთ კულტურული მემკვიდრეობის ძეგლთან მისასვლელი მოუწყვსრიგებელი გზა;
O – შესაძლებლობები	T – საფრთხეები
<ul style="list-style-type: none"> • სოფლი მეურნეობის განვითარების და სასოფლო -სამეურნეო კოოპერატივების ხელშემწყობი სპეციალური სახელმწიფო პროგრამები; • ადგილწარმოშობის და ადგილობრივი ღვინოების პოპულარიზაცია სახელმწიფოს მიერ; • ასოცირების ხელშეკრულება და DCFTA • აქტიური სამოქალაქო ჯგუფების და ორგანიზაციების არსებობა მუნიციპალიტეტის გარეთ და მათი თანამშრომლობის სურვილი მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელობასთან; • startup-სა და მცირე ბიზნესის მხარდაჭერი სახელმწიფო პროგრამების; 	<ul style="list-style-type: none"> • ბუნებრივი კატასტროფების საფრთხეები, მდ. დურუჯიდან მომდინარე საფრთხე (სელური მდინარე, რომელიც ღვარცოფული ხასიათის გამო მუდმივ საფრთხეს უქმნის მოსახლეობას და ასევე ზიანს აყენებს სასოფლო სამეურნეო სავარგულებს); • გარემოს დაზინძურება, ნიადაგის დაზინძურება; • ტყის მასივების შემცირება, ნიადაგის ეროზია; • მიგრაციის მაღალი მაჩვენებელი ქვეყანაში;

- ქვეყნის ტურისტული და საინვესტიციო პოტენციალის სათანადო საინფორმაციო უზრუნველყოფა სახელმწიფოს მიერ.

ყვარლის მუნიციპალიტეტისთვის ტრადიციული და განვითარებული ეკონომიკური საქმიანობის ფორმები, მისთვის უკვე საიმპიჯოდ გამხდარი მევენახეობის მიკრო-ზონების არსებობა, სოფლის მეურნეობის სხვადასხვა დარგების განვითარებისთვის საჭირო მიწის რესურსი და კლიმატური პირობები, ბიზნესის ხელშემწყობი სახელმწიფო პროგრამები, განვითარებული ტურისტული პროდუქტები ქმნის ეკონომიკური ზრდის წინაპირობას თუ წარმატებით იქნება დამღეული ის გამოწვევები და სუსტი მხარეები, რაც დღეს მუნიციპალიტეტის წინაშე დგას. კერძოდ:

მუნიციპალიტეტის და მისი საინვესტიციო პოტენციალის ცნობადობის არასათანადო დონე; სუსტად განვითარებული თანამშრომლობა კერძო და საჯარო რექტორს შორის; ნაკლებად დივერსიფიცირებული ეკონომიკური საქმიანობის ფორმები; ფინანსურ რესურსებზე შეზღუდული წვდომა; სამეწარმეო უნარ-ჩვევების ნაკლებობა ადგილობრივ მეწარმეებში; ახალი ტექნოლოგიების სიმწირე და მათზე შეზღუდული წვდომა, წარმოების შესაძლებლობების განვითარების დაბალი დონე; ტურისტული მომსახურების სტანდარტის და ახალი ტურისტული პროდუქტების განვითარების დაბალი დონე. ტურისტული ინფრასტრუქტურის შემდგომი განვითარების მწვავე საჭიროება.

ყვარლის მუნიციპალიტეტის ეკონომიკის სტრუქტურის, თითოეული თემატური ბლოკისა და SWOT ანალიზის გათვალისწინებით, პარტნიორების ყველა მოწაწილე მხარის ჩართულობით შემუშავდა მუნიციპალიტეტის ადგილობრივი ეკონომიკური განვითარების ხედვა და სტრატეგიული მიზნები, რომლებიც ფართო საზოგადოების მიერ არის გაზიარებული.

8. ხედვა და მიზნები

სტრატეგიული ხედვა

ყვარლის მუნიციპალიტეტი არის რეგიონში აღიარებული მევენახეობა-მეღვინეობის და განვითარებული ტურიზმის ადგილი, ხელსაყრელი პირობებითა და მიმზიდველი ბიზნეს გარემოთი სხვადასხვა ეკონომიკური საქმიანობებისთვის.

სტატეგიული მიზნები

1. მუნიციპალიტეტის მეღვინეობა-მევენახეობის და ტურისტული შესაძლებლობების შემდგომი განვითარება და პოპულარიზება;
2. საჯარო და კერძო ინფრასტრუქტურის გაუმჯობესება, რომელიც ხელს შეუწყობს მუნიციპალიტეტის ეკონომიკურ წინსვლას;
3. სამეწარმეო გარემოს გაუმჯობესება და კერძო სექტორის საჭიროებებზე მორგებული კვალიფიციური კადრის არსებობა.

9. სამოქმედო გეგმა

ადგილობრივი ეკონომიკური განვითარების გეგმის მე-9 ნაწილი, კერძოდ სამოქმედო გეგმა, ასევე შემუშავებულია პარტნიორობის, მერიის სამსახურების, მუნიციპალიტეტის საკრებულოს და სხვა დაინტერესებული მხარეების აქტიური ჩართულობით. სწორედ ამ ჩართულობამ უნდა უზრუნველყოს სამოქმედო გეგმით გათვალისწინებული აქტივობების განხორციელება შეძლებისდაგვარად მითითებულ ვადებში. სამოქმედო გეგმაში გაწერილი პროექტები ორიენტირებულია მუნიციპალიტეტის მეღვინეობა-

მევენახეობის და ტურისტული შესაძლებლობების განვითარებაზე და მუნიციპალიტეტის უკეთ წარმოჩენაზე, ასევე სამეწარმეო გარემოს გაუმჯობესებაზე, რაც გულისხმობს როგორც სამეწარმეო უნარ-ჩვევების ისე ინფრასტრუქტურულ განვითარებას. LED გეგმის შესრულებასა და მის სამოქმედო გეგმის ნაწილში გაწერილი აქტივობების განხორციელებაზე ანგარიშვალდებული და პასუხისმგებელია ყვარლის მუნიციპალიტეტის მერია და მისი შესაბამისი სტრუქტურული ერთეულები.

თემატური ბლოკი	პირითადი მიზნები	ქმედება / პროექტის იდეები	ხანგრძლივობა (დაწყება/დასრულება)	მონაწილე პარტნიორები	სავარაუდო ღირებულება ეროვნულ ვალუტაში (ექვივალენტი ევროში)	მეისიერი შედეგი (პროდუქტი) ინდიკატორები	შედეგები/საბოლოო შედეგების ინდიკატორები
1. გარე პოზიციონირება და მარკეტინგი;	1. მუნიციპალიტეტის მეღვინეობა-მევენახეობის და ტურისტული შესაძლებლობების შემდგომი განვითარება და პოპულარიზება	1.1. ყოველწლიური ღვინის ფესტივალის და კონკურსის ორგანიზება	08/2020-10/2020	ყვარლის მუნიციპალიტეტის მერია, ადგილობრივი მეწარმეები	15 000 ლარი 5000 ევრო	ჩატრეული ფესტივალების რაოდენობა, საოჯახო მარნების მიერ გაყიდული პროდუქციის რაოდენობა	კიდევ უფრო გაზრდილი მუნიციპალიტეტის პოპულარობა, საოჯახო მარნების ცნობადობის ზრდა; აქტიურ ტურისტულ სეზონზე კიდევ ერთი ტურისტებისთვის საინტერესო მიზიდულობის ადგილის გაჩენა.
		1.2. ადგილობრივ და საერთაშორისო გამოფენებსა და ბაზრობებში მონაწილეობა და დამეგობრებული ქალაქების ფაქტორის გამოყენება	03/2020-07/2020	ყვარლის მუნიციპალიტეტის მერია, დამშობილებული ქალაქები	30000 ლარი 15 000 ევრო	შერჩეული ღონისძიებების რაოდენობა, სადაც მონაწილეობას მიიღებს ყვარლის მუნიციპალიტეტი	მუნიციპალიტეტის, მისი საინვესტიციო პოტენციალის და მასში წარმოებული პროდუქციის პოპულარობის ზრდა. ვიზიტორების რაოდენობის ზრდა და დამშობილებული და პარტნიორი ქალაქებიდან
		1.3. ყვარლის საიმიჯო ვიდეო რგოლის და ბროშურის შექმნა	11/2019-11/2020	ყვარლის მუნიციპალიტეტის მერია, ადგილობრივი მეწარმეები	15 000 ლარი 5 000 ევრო	დამზადებული ყვარლის საიმიჯო რგოლი ყვარლის ტურისტული და საინვესტიციო მიმზიდველობის წარმოსაჩენად. მისი გავრცელება მედიის და სოციალური ქსელების საშუალებით	მუნიციპალიტეტის ცნობადობის და პოპულარობის ზრდა. გაზრდილი ვიზიტორთა რაოდენობა მომდევნო ორი წლის განმავლობაში

		1.4 ღვინის ბიბლიოთეკის გახსნა	01.02.2020 – 01.06.2020	ყვარლის მუნიციპალიტეტის მერია,	5 000 ლარი 1600 ევრო	ტურიზმის საინფორმაციო ცენტრის სიახლოვეს ღვინის ბიბლიოთეკის არსებობა, რომელიც გამოსაყენებელი იქნება, როგორც ადგილობრივი ფერმერებისთვის და დაინტერესებული პირებისთვის, ასევე დაინტერესებული ტურისტებისთვის იქ შეთავაზებული რამდენიმე ენოვანი 5 წუთიანი მცირე ექსკურსიით ქართული მეღვინეობის შესახებ. ბიბლიოთეკით მოსარგებლე ადამიანების და უცხოელი ტურისტების რაოდენობა	ახალი პროდუქტის არსებობა, რომელიც ერთის მხრივ ხელს შეუწყობს ფერმერების და მეწარმეების უნარჩვევების განვითარებას, ხოლო მეორეს მხრივ დაინტერესებულ ტურისტებს აუმაღლებს ცნობიერებას ქართული ღვინის და კონკრეტულად ყვარლის, როგორც მეღვინეობის და მევენახეობისთვის გამორჩეული ადგილის შესახებ.
		1.5 ყვარლის მუნიციპალიტეტის ტურიზმის განვითარების სტრატეგიის შემუშავება	01.05.2020 – 01.05.2020	ყვარლის მუნიციპალიტეტის მერია, დონორი ორგანიზაცია	30 000 ლარი 10 000 ევრო	შექმნილი ტურიზმის განვითარების სტრატეგია დამტკიცებული დოკუმენტი	ახალი ტურისტული პროდუქტის და მიმართულებების არსებობა ყვარლის მუნიციპალიტეტში. ტურისტების გაზრდილი რაოდენობა. ახალი ტურისტული მიმართულებები ტურისტების რაოდენობა
		1.6 მსგავსი პრიორიტეტის მქონე მუნიციპალიტეტთან ერთად თანამედროვე ღვინის ლაბორატორიის შექმნა და ღვინის ჩამოსხმის სერვისის შეთავაზება მცირე მარნებისთვის.	01.02.2020 – 01.05.2021	ყვარლის მუნიციპალიტეტი, პარტნიორი მუნიციპალიტეტი, დონორი ორგანიზაცია,	25 000 ლარი 8500 ევრო	შექმნილი ღვინის ლაბორატორია ორი მუნიციპალიტეტის მცირე მეწარმეებისთვის, რომელთაც ასევე აქვთ შესაძლებლობა იგივე სივრცეში მცირე მოცულობის ღვინის ჩამოსხმის და ეტიკეტირებისთვის. შექმნილი ლაბორატორია, მოსარგებლეთა რაოდენობა	ლაბორატორიის შექმნით მცირე მარნებს გაზრდილი შესაძლებლობები, რათა დახვეწონ და აკონტროლონ ღვინის ხარისხი და ასევე მოაქციონ ბოთლში და მისცენ სასაქონლო სახე. მცირე მარნების ხელშეწყობა. ბაზარზე საინტერესო და ხარისხიანი ღვინის არსებობა.

		1.7 ყვარლის ისტორიულ ციხე-გალავანში ტურისტული ატრაქციის კონცეფციის შემუშავება	05/2020 - 05/2021	ყვარლის მუნიციპალიტეტის მერია, კერძო ინიციატივა	40 000 ლარი 13 300 ევრო	კონცეფციის არსებობა ყვარლის ისტორიული ციხე-გალავანის უფრო აქტიური ტურისტული მიზნით გამოყენებისთვის, (რომელშიც დღეს სპორტული მოედანია განთავსებული), და იქ ტურისტული ატრაქციის მოსაწყობად.	კონცეფციის არსებობით შექმნილი წინაპირობა, დაფინანსების ან ინვესტიციის მოსაპოვებლად და ციხე-გალავანის უფრო ეფექტურად გამოსაყენებლად, რომელიც იქნება მოგებაზე ორიენტირებული ახალი ტურისტული პროდუქტი. მოპოვებული დაფინანსების ან ინვესტიციის მოცულობა; ახლად შექმნილი ტურისტული პროდუქტი, ვიზიტორების გაზრდილი რაოდენობა.
2. მიწა და ინფრასტრუქტურა;	2. საჯარო და კერძო ინფრასტრუქტურის გაუმჯობესება, რომელიც ხელს შეუწყობს მუნიციპალიტეტის ეკონომიკურ წინსვლას;	2.1. ყვარლის სპორტული კომპლექსის (სტადიონის) პროექტირება ტურისტულად აქტიურ ზონაში	10/2019-02/2020	მუნიციპალური განვითარების ფონდი	50 000 ლარი 16 600 ევრო	ტურისტულად აქტიურ ზონაში სპორტული კომპლექსის პროექტირება, რომელიც ითვალისწინებს უფვას სტანდარტების შესაბამისი დიდი და მცირე სტადიონის მოწყობას.	აღნიშნული კომპლექსის მშენებლობის რეალური წინაპირობა. კომპლექსის არსებობა; ინდივიდუალური მოსარგებლეთა რაოდენობა, გაქირავებიდან მიღებული შემოსავლები. მიმდებარედ განთავსებული სასტუმროების ვიზიტორებისთვის სპორტულ-გამაჯანსაღებელი აქტივობების შესაძლებლობა.
		2.2. ყვარელში მუნიციპალიტეტის კუთვნილ შენობაში ტექნო პარკის გახსნა	04/2020 - 10/2020	ყვარლის მუნიციპალიტეტის მერია, სსიპ „ინოვაციების და ტექნოლოგიების სააგენტო“	40000 ლარი 13 300 ევრო	ყვარელში ახლად გახსნილი ტექნო პარკი, რომელიც ეხმარება ახალგაზრდა მეწარმეებს და სტარტაპერებს თავიანთ წარმოებაში ინოვაციური მიდგომების და ტექნოლოგიების დანერგვაში ასევე ამ მიმართულებით სამეწარმეო უნარების განვითარებაში	ადგილობრივ წარმატებულ მეწარმეთა გაზრდილი რაოდენობა, რომლებიც წარმოებაში იყენებენ თანამედროვე ტექნოლოგიებს. იმ მეწარმეების რაოდენობა, რომლებმაც ისარგებლეს ტექნო პარკის რესურსით.
		2.3. დოლოჭოპის ბაზილიკასთან	09/2020-08/2021	ყვარლის მუნიციპალიტეტის	1 000 000 ლარი	ილიას ტბის სარეკრეაციო ზონის და დოლოჭოპის	შექმნილი კიდევ ერთ სერიოზული ტურისტული

		მისასვლელი გზის გაკეთება და მის მიმდებარედ ტურისტული - საკემპინგე და რეკრეაციული ინფრასტრუქტურის მოწყობა		მერია, რეგიონის განსახორციელებელი პროექტების ფონდი (რეგ. განვით. სამინისტრო),	330 000 ევრო	არქეოლოგიურ აღმოჩენის დამაკავშირებელი გზა, რომელიც ქმნის საინტერესო და მიმზიდველ ტურისტულ კომპლექსს. მოწყობილი და ორგანიზებული საკემპინგე და დასასვენებელი ადგილები ტურისტების და ვიზიტორებისთვის. ადგილზე მცირე სავაჭრო ობიექტების განვითარების შესაძლებლობა.	მიზიდულობის ადგილი ყვარლის მუნიციპალიტეტში კულტურულ-შემეცნებითი, სალაშქრო, ეკო და პილიგრიმული ტურიზმის მიმართულებით. ვიზიტორების რაოდენობა, მიღებული შემოსავლის რაოდენობა, დამატებითი ტურისტული პროდუქტი ყვარლისთვის
		2.4 ქალაქ ყვარლის სივრცითი დაგეგმარების დოკუმენტის შემუშავება	05/2020 - 05/2021	ყვარლის მუნიციპალიტეტის მერია, დონორი ორგანიზაცია	350 000 ლარი 116 66 ევრო	ქალაქ ყვარლის სივრცითი გეგმარების დოკუმენტის არსებობა	ქალაქი განვითარდა სწორი მიმართულებით, შენარჩუნდა და დაიხვეწა (სადაც საჭირო იყო) არქიტექტურული იერსახე. ვიზიტორების რაოდენობის ზრდა. ყვარლის იმიჯის ზრდა.
3. უნარების და ადამიანური კაპიტალი, ინკლუზიური ურობა	3.სამეწარმეო გარემოს გაუმჯობესება და კერძო სექტორის საჭიროებებს მორგებული კვალიფიციური კადრის არსებობა.	3.1 მუნიციპალიტეტის საინვესტიციო კატალოგის შექმნა	01.02.2020 - 01.10.2020	ყვარლის მუნიციპალიტეტი, დონორი ორგანიზაცია	65 000 ლარი 21 600 ევრო	შექმნილი საინვესტიციო კატალოგი	ინვესტიციების მოცულობის ზრდა. განხორციელებული ინვესტიციების რაოდენობა
		3.2 ყვარელში ადრე არსებული პროფესიული სასწავლებლის აღსადგენად კონცეფციის და წინაპირობების შექმნა	01.04.2020 - 01.09.2020	ყვარლის მუნიციპალიტეტის მერია.	30 000 ლარი 10 000 ევრო	შეიქმნა პროფესიული სასწავლებლის კონცეფცია. გამოვლინდა საჭიროებები სასწავლებლის განვითარების კუთხით.	აღდგენილი პროფესიული სასწავლებელი. ადგილობრივ დასაქმების ბაზრის მოთხოვნებზე მორგებული საგანმანათლებლო პროგრამების არსებობა. პროფესიული სასწავლებელი, პროგრამების როდენობა, კურსდამთავრებულთა რაოდენობა ყოველწლიურად.
		3.3 ახალგაზრდების, ქალების, ეთნიკური უმცირესობების და დამწყები მეწარმეებისთვის სათანადო უნარების	01.09.2020 - 01.03.2021	ყვარლის მუნიციპალიტეტი, დონორი ორგანიზაცია	30 000 ლარი 10 000 ევრო	შემუშავებული და ორგანიზებულია ტრენინგ-სემინარების პროგრამა. ჩატარებულია ტრენინგები სტარტაპერების, ქალების,	კვალიფიციურებული ადამიანების გაზრდილი რაოდენობა. ახალგაზრდების, ქალების, ეთნიკური უმცირესობების და სხვა

		გასავითარებლად მოკლევადიანი სასწავლო კურსების ორგანიზება				ეთნიკური უმცირესობების და ახალგაზრდებისთვის. ჩატარებული ტრენინგების რაოდენობა, გადამზადებული ადამიანების რაოდენობა.	ადვილად მოწყვლადი ჯგუფების გაზრდილი დასაქმების შესაძლებლობი გადამზადებულთაგან დასაქმებულ პირთა რაოდენობა.
		3.4 კერძო და სამოქალაქო სექტორის წარმომადგენლებისაგან შემდგარი მერის საკონსულტაციო საბჭოს შექმნა და მისი , როგორც თანამშრომლობის ახალი პლატფორმის ინსტიტუციური გაძლიერება	01.04.2020 – 01.06.2020	ყვარლის მუნიციპალიტეტი, დონორი ორგანიზაცია		შექმნილია მერის საკონსულტაციო საბჭო როგორც სექტორებს შორის თანამშრომლობის პლატფორმა, რომელიც დებულებიდან ან საჭიროებიდან გამომდინარე იკრიბება.	ეფექტური თანამშრომლობის პლატფორმა სექტორებს შორის. ადგილობრივ დონეზე ბიზნესის მხარდამჭერი ინიციატივების რაოდენობა

10. დაფინანსების სქემა

ღონისძიებები	საორიენტაციო ღირებულება	დაფინანსების წყარო				წვეტა დაფინანსებაში	შენიშვნები
		ადგილობრივი ბიუჯეტი	მდალი დონის ბიუჯეტი	ბიზნესი	დონორები		
1.1 ყოველწლიური ღვინის ფესტივალის და კონკურსის ორგანიზება	15 000 ლარი (5 000 ევრო)	9000 ლარი (3000 ევრო)		6 000 ლარი (2000 ევრო)			
1.2. ადგილობრივ და საერთაშორისო გამოფენებში მონაწილეობა	30 000 ლარი (10 000 ევრო)	20 000 ლარი 6500 ევრო		6000 ლარი 2000 ევრო	4000 ლარი 1350 ევრო		
1.3. ყვარლის საიმიჯო ვიდეო რგოლის და ბროშურის შექმნა	20 000 ლარი 7 000 ევრო	15 000 ლარი 5 000 ევრო		5000 ლარი 1600 ევრო			
1.4. ღვინის ბიბლიოთეკის გახსნა	5 000 ლარი 1600 ევრო	5000 ლარი 1600 ევრო					
1.5. ყვარლის ისტორიულ ციხე-გალავანში ტურისტული ატრაქციის კონცეფციის შემუშავება	40 000 ლარი 13 300 ევრო	10 000 ლარი 3 300 ევრო		30 000 ლარი 10 000 ევრო			
1.6. ყვარლის მუნიციპალიტეტის ტურიზმის განვითარების სტრატეგიის შემუშავება	30 000 ლარი 10 000 ევრო	15 000 ლარი (5000 ევრო)			15 000 ლარი (5000 ევრო)		
1.7. მსგავსი პრიორიტეტის მქონე მუნიციპალიტეტთან ერთად თანამედროვე ღვინის ლაბორატორიის შექმნა და ღვინის ჩამოსხმის სერვისის შეთავაზება მცირე მარნებისთვის	250 000 ლარი 85 000 ევრო				50 000 ლარი 16 000 ევრო	200 000 ლარი 66 000 ევრო	
2.1. ყვარლის სპორტული კომპლექსის პროექტირება ტურისტულად აქტიურ ზონაში	50 000 ლარი 16 600 ევრო		50 000 ლარი 16 600 ევრო				
2.2 ყვარელში, მუნიციპალიტეტის კუთვნილ შენობაში ტექნო პარკის გახსნა	40 000 ლარი 13 300 ევრო	10 000 ლარი 3300 ევრო	30 000 ლარი 10 000 ევრო				
2.3. დოლოჰოპის ბაზილიკასთან მისასვლელი გზის გაკეთება და მის მიმდებარედ ტურისტული-საკემპინგე და რეკრეაციული ინფრასტრუქტურის მოწყობა	900 000 ლარი 333 000 ევრო	100 000 ლარი 33 000 ევრო	740 000 ლარი 246 600 ევრო	60 000 ლარი 20 000 ევრო			

2.4. ქალაქ ყვარლის სივრცითი დაგეგმარების დოკუმენტის შემუშავება	350 000 ლარი 116 660 ევრო	100 000 ლარი 33 000 ევრო				250 000 ლარი 83 300 ევრო	
3.1. ყვარლის მუნიციპალიტეტის საინვესტიციო კატალოგის შექმნა	65 000 ლარი 21 600 ევრო				65 000 ლარი 21 600 ევრო		
3.2. ყვარელში ადრე არსებული პროფესიული სასწავლებლის აღსადგენად კონცეფციის და წინაპირობების შექმნა	30 000 ლარი 10 000 ევრო	30 000 ლარი 10 000 ევრო					
3.3 ახალგაზრდების, ქალების, ეთნიკური უმცირესობების და დამწყები მეწარმეებისთვის სათანადო უნარების გასავითარებლად მოკლევადიანი სასწავლო კურსების ორგანიზება	30 000 ლარი (10 000 ევრო)	15 000 ლარი 5000 ევრო			15 000 ლარი 5000 ევრო		
ჯამი	1 855 000 ლარი (618.333 ევრო)	329 000 ლარი 108 700 ევრო	820 000 ლარი 273 300 ევრო	107 000 ლარი 35 600 ევრო	149 000 ლარი 48 950 ევრო	450 000 ლარი 149 300 ევრო	

11. მონიტორინგის ინდიკატორები და მექანიზმები

კმედება	ხანგრძლივობა (დაწყება/დასრულება)	მოსალოდნელი შედეგები თვე 1-6	მოსალოდნელი შედეგები თვე 7-12	მოსალოდნელი შედეგები თვე 13-18	მოსალოდნელი შედეგები თვე 19-24
1.1. ყოველწლიური ღვინის ფესტივალის და კონკურსის ორგანიზება	01.08.2020 10.10.2020		შემუშავებულია ფესტივალის კონცეფცია, დადგენილია ფესტივალის ჩატარების თარიღი, განსაზღვრულია ფესტივალში მონაწილეთა ვინაობა	ერთი ღვინის ფესტივალი და კონკურსი ჩატარებულია .	დადგენილია შემდეგი ფესტივალის ჩატარების თარიღი, განსაზღვრულია ფესტივალში მონაწილეთა ვინაობა ასევე ჟიურის შემადგენლობა.

			ასევე შემადგენლობა		გაიზარდა ადგილობრივი ღვინის მწარმოებლების ცნობადობა
1.2. ადგილობრივ და საერთაშორისო გამოფენებსა და ბაზრობებში მონაწილეობა და დამეგობრებული ქალაქების ფაქტორის გამოყენება	03/2020- 07/2020		შერჩეულია ერთი საერთაშორისო გამოფენა/ბაზრობა/ფესტი ვალი, მონაწილეობის მისაღებად. განსაზღვრულია დელეგაციის შემადგენლობა, მომზადებულია მონაწილეობისათვის საჭირო საგამოფენო მასალა.	მონაწილეობა მიღებულია საერთაშორისო გამოფენა/ბაზრობა/ფესტივალში	შერჩეულია ერთი საერთაშორისო გამოფენა/ბაზრობა/ფეს ტივალი, მონაწილეობის მისაღებად. განსაზღვრულია დელეგაციის შემადგენლობა, მომზადებულია მონაწილეობისათვის საჭირო საგამოფენო მასალა.
1.3. ყვარლის საიმიჯო ვიდეო რგოლის და ბროშურის შექმნა	11/2019 11/2020	შემუშავებულია ვიდეო რგოლის და ბროშურის კონტენტი, გამოყოფილია დაფინანსება.	შექმნილია საიმიჯო ვიდეო რგოლი და დაბეჭდილია ბროშურები	ხდება კლიპის დემონსტრირება ინტერნეტის და სხვადასხვა მედია საშუალებებით	ხდება კლიპის დემონსტრირება ინტერნეტის და სხვადასხვა მედია საშუალებებით. გაზრდილია ვიზიტორების რაოდენობა. მოხდა ბროშურის ხელახალი ტირაჟირება...
1.4. ღვინის ბიბლიოთეკის გახსნა	01.02.2020 01.06.2020	ღვინის ბიბლიოთეკის კონცეფცია შემუშავებულია, ბიბლიოთეკისთვის ფართი მოძიებული და აღჭურვილია, ღვინის ბიბლიოთეკა გახსნილია	ყვარელში ფუნქციონირებს ღვინის ბიბლიოთეკა, რომელიც ემსახურება დაინტერესებულ მკითხველს, ფერმერებს და ტურისტებს	ყვარელში ფუნქციონირებს ღვინის ბიბლიოთეკა, რომელიც ემსახურება დაინტერესებულ მკითხველს, ფერმერებს და ტურისტებს.	ყვარელში ფუნქციონირებს ღვინის ბიბლიოთეკა, რომელიც ემსახურება დაინტერესებულ მკითხველს, ფერმერებს და ტურისტებს. მოსარგებლეთა გაზრდილი რაოდენობა ექვსი თვის

					განმავლობაში .
1.5 ყვარლის მუნიციპალიტეტის ტურიზმის განვითარების სტრატეგიის შემუშავება	01.05.2020 01.11.2020		ექსპერტებისგან დაკომპლექტებული სამუშაო ჯგუფის განსაზღვრა, რომელიც იმუშავებს სტრატეგიის დოკუმენტის შედგენაზე, თანხის მოძიება	ტურიზმის განვითარების სტრატეგიის დოკუმენტის არსებობა ყვარლის მუნიციპალიტეტისთვის	
1.6 მსგავსი პრიორიტეტის მქონე მუნიციპალიტეტთან ერთად თანამედროვე ღვინის ლაბორატორიის შექმნა და ღვინის ჩამოსხმის სერვისის შეთავაზება მცირე მარნებისთვის	01.02.2020 01.05.2021	შექმნილია ინტერმუნიციპალური ჯგუფი, რომელიც მუშაობს აღნიშნულ პროექტზე და დაფინანსების მოძიების საკითხებზე.	ლაბორატორიის შესაქმნელად დაფინანსება მოძიებულია	გაიხსნა ღვინის ლაბორატორია შერჩეულ ლოკაციაზე.	ლაბორატორიით და ღვინის ჩამოსხმის სერვისით მოსარგებლე ადგილობრივი ფერმერების რაოდენობა
1.7 ყვარლის ისტორიულ ციხე-გალავანში ტურისტული ატრაქციის შექმნის კონცეფციის შემუშავება	05.2020 05.2021		შექმნილია სამუშაო ჯგუფი, რომელიც იმუშავებს კონცეფციაზე,	ყვარლის ისტორიულ ციხე-გალავანში ტურისტული ატრაქციის შექმნის და განვითარების კონცეფცია არსებობს	ყვარლის ისტორიულ ციხე-გალავანში ტურისტული ატრაქციის შექმნის და განვითარების კონცეფცია არსებობს და შესაძლებელია დაფინანსების წყაროების მოძიებისთვის

					სამუშაოს დაწყება
2.1. ყვარლის სპორტული კომპლექსის პროექტირება ტურისტულად აქტიურ ზონაში	10/2019 02/2020	ყვარლის ტურისტულად აქტიურ ზონაში უფასო სტანდარტების შესაბამისი დიდი და მცირე სტადიონებით დაკომპლექტებული სპორტული კომპლექსის პროექტირებისთვის თანხა გამოყოფილია და ტენდერი გამოცხადებულია საპროექტო სამუშაოს შესყიდვაზე	სპორტული კომპლექსის საპროექტო სამუშაო შესრულებულია.	სპორტული კომპლექსის საპროექტო სამუშაო შესრულებულია.	სპორტული კომპლექსის საპროექტო სამუშაო შესრულებულია.
2.2 ყვარელში, მუნიციპალიტეტის კუთვნილ შენობაში ტექნო პარკის გახსნა	04/2020 10/2020		გამოყოფილია შენობა და ჩატარებულია შესაბამისი სარემონტო სამუშაოები	ყვარელში არსებობს ტექნო პარკი	ტექნო პარკით მოსარგებლეთა რაოდენობა
2.3 დოლოჭოპის ბაზილიკასთან მისასვლელი გზის გაკეთება და მის მიმდებარედ ტურისტული-საკემპინგე და რეკრეაციული ინფრასტრუქტურის მოწყობა	09/2020 – 08/2021		გამოყოფილია თანხა გზის მოსაწყობად, გზის მშენებლობის საპროექტო სამუშაოები შესრულებულია.	არსებობს გზა, რომელიც „ილიას ტბის“ სარეკრეაციო პარკს აკავშირებს დოლოჭოპის არქეოლოგიურ აღმოჩენასთან მოძიებულია თანხა, დოლოჭოპის ბაზილიკის მიმდებარედ ტურისტული-საკემპინგე და რეკრეაციული ინფრასტრუქტურის საპროექტო სამუშაოები შესრულებულია.	დოლოჭოპის ბაზილიკის მიმდებარედ ტურისტული-საკემპინგე და რეკრეაციული ინფრასტრუქტურა მოწყობილია
2.4 ქალაქ ყვარლის სივრცითი დაგეგმარების დოკუმენტის შემუშავება	05/2020 05/2021			თანხა მოძიებულია დოკუმენტის შესყიდვისთვის, გამოცხადებულია ტენდერი .	არსებობს ქალაქ ყვარლის სივრცითი დაგეგმარების დოკუმენტი
3.1 ყვარლის მუნიციპალიტეტის საინვესტიციო კატალოგის შექმნა	01.02.2020 01.10.2020	კატალოგზე მომუშავე ჯგუფი განსაზღვრულია	შექმნილია საინვესტიციო კატალოგი	საინვესტიციო კატალოგი განთავსებულია ინტერნეტ სივრცეში	საინვესტიციო კატალოგი განთავსებულია ინტერნეტ სივრცეში. განხორციელებული ინვესტიციის/ინტერესის გამოხატვის რაოდენობა

					მუნიციპალიტეტში
3.2 ყვარელში ადრე არსებული პროფესიული სასწავლებლის აღსადგენად და წინაპირობების შექმნა	10.04.2020 01.09.2020		ბაზრის საჭიროება მოკვლეულია და მის საფუძველზე შემუშავებულია პროფესიული სასწავლებლის კონცეფცია.	მიმდინარეობს ინტენსიური მუშაობა დაფინანსების მოსაპოვებლად.	
3.3 ახალგაზრდების, ქალების, ეთნიკური უმცირესობების და დამწყები მეწარმეებისთვის სათანადო უნარების გასავითარებლად მოკლევადიანი სასწავლო კურსების ორგანიზება	01.09.2020 01.03.2021		შერჩეულია ტრენინგების თემატიკა, შექმნილია პროგრამა, განსაზღვრულია ტრენინგის მონაწილეები, დატრენინგებულია 30 ადამიანი		შერჩეულია ტრენინგების თემატიკა, შექმნილია პროგრამა, განსაზღვრულია ტრენინგის მონაწილეები, დატრენინგებულია 30 ადამიანი
3.4 კერძო და სამოქალაქო სექტორის წარმომადგენლებისგან შემდგარი მერის საკონსულტაციო საბჭოს შექმნა და მისი, როგორც თანამშრომლობის ახალი პლატფორმის ინსტიტუციური გაძლიერება	01.04.2020 01.06.2020		შედგენილია საბჭოს დებულება, შერჩეულია საკონსულტაციო საბჭოს წევრები, ორგანიზება გაუკეთდა პირველ შეხვედრას.	შედგენილია საბჭოს, როგორც თანამშრომლობის პლატფორმის სამოქმედო გეგმა და განსაზღვრულია შეკრების ფორმა და პერიოდულობა	არსებობს ქმედითი და ეფექტური თანამშრომლობის პლატფორმა კერძო, სამოქალაქო და საჯარო სექტორებს შორის
მთელი ბიუჯეტის დახარჯული % (საორიენტაციო)		10%	60%	30%	10%